# თანამშრომლობა ჯანდაცვის სისტემის გარდაქმნისთვის (CoReform)

პროექტის მიზანი: გაუმჯობესებული საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური ჩარჩო რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიანი მომსახურების გაზრდილი მიწოდებისა და მოთხოვნისთვის. ბენეფიციარები: საქართველო მოსახლეობა ბიუჯეტი: 552,759 აშშ დოლარი დონორი: USAID/კავკასია

პროექტი ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ჯანდაცვის სისტემის უფრო ეფექტურ, ანგარიშვალდებულ და გამჭირვალედ სისტემად გარდაქმნისთვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შჯსდს) ხელშეწყობით და USAID/კავკასიის დაფინანსებით, CoReform-ი საქართველოს მთავრობას შემდეგ სფეროებში ეხმარება: ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკის შემუშავება, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების დაფუძნება, ინსტიტუტციონალიზაცია, ეროვნულ დონეზე ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტების ორგანიზაცია და მართვა.

CoReform-ის გუნდს Abt Associates Inc. ხელმძღვანელობს და პროექტი ხორციელდება "ქეა საერაშორისო"-სთან, საერთაშორისო ფონდ "კურაციო"-სა და Deloitte Touche Tohmatsu Emerging Markets Ltd.-თან თანამშრომლობით. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები დაეხმარება საქართველოს მთავრობას ინოვაციური და ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავებაში და ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და თანასწორუფლებიანობა, აბორტების რიცხვის შემცირება და დონორთა კოორდინაციის გაუმჯობესება.

"ქეა საერთაშორისო" ახორციელებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკის (რჯ/ოდ) კომპონენტს. რჯ/ოდ-ის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ძირითად მექანიზმს პოლიტიკის სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს, რომლის საქმიანობის მიზნებია რჯ/ოდ-ის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა; მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც შემდგომში შეძლებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მარეგულირებელი, საკანონმდებლო და პოლიტიკის საკითხების ანალიზსა და წარმართვას; აგრეთვე, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, მართვის გაუმჯობესება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

CoReform-ის სამუშაო ჯგუფის მიზნებია:

• არსებული პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს ვრცელი მიმოხილვა და რეკომენდაციების შემუშავება არსებული პრობლემების დასაძლევად;

• რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის საკონსულტაციო სერვისის განსაზღვრა;

• რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება;

• რეპროდუქციული ჯანმრთელობის კანონპროექტის შემუშავება, რათა საქართველოს მთავრობამ შეძლოს საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით რეპროდუქციული ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელება.

პროექტის შედეგებით ისარგებლებს საქართველოს მთელი მოსახლეობა. შედეგად, გაიაფდება სამედიცინო მომსახურების ღირებულება და ხელმისაწვდომი გახდება სამედიცინო კონსულტაცია და მომსახურება.